შპს „ვასაძის ჩაი“

ს/კ 237094032 ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატანები ; E-mail: mamaladzesaba24@gmail.com ; ტელ.: 5 99 27 14 06

„—03—„-ოქტომბერი-„ 2022 წ.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „ვასაძის ჩაი“-ს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N26.29.28.184) გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის პლანტაცია. მოცვის ნარგავების გაშენება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში.

სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად მოწყობილია წვეთოვანი სისტემა. მოცვის ნარგავების მოსარწყავად წყლის აღება ხდება მდ. სკურდუმიდან, რომელიც ჩამოედინება მიწის ნაკვეთის სამხრეთ საზღვართან.

რადგან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3. პუნქტით გათალისწინებულ საქმიანობას, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელზედაც სააგენტოს 16/08/2022 N21/4469 წერილით გამოგვეგზავნა შენიშვნები, შენიშვნები, რომლის შესაბამისადაც მოხდა სკრინინგის განაცხადის გაახლება და სააგენტოში წარდგენა.

სააგენტოს 23/09/2022 N21/5600 ისევ გამოგვევზავნა შენიშვნები, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული წერილებით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებულ სკრინინგის განაცხადს.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადის ელ. ვერსია;

ტერიტორიის shp ფაილები;

პასუხები N21/5600 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე.

პატივისცემით
მერაბი ვასაძე
დირექტორი

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
04 10 2022
№ 5336